ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 15 სექტემბრის სხდომის

ოქმი # 7

სხდომა ჩატარდა „ზუმ“ პლატფორმის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან - 20.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში

   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ

   მომხს: რ. ჯორბენაძე
3. დოქტორანტურის საგამანათლებლო პროგრამა „ურბანისტიკის“ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების საფაკულტეტო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა

   მომხს: რ. ჯორბენაძე

მოისმინეს: 1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა რევაზ ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, ს. დუნდუამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმის ცვლილებები წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა რევაზ ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ, მ. შამილიშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები ქვემოთჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციაში კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისად (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 3. დოქტორანტურის საგამანათლებლო პროგრამა „ურბანისტიკის“ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების საფაკულტეტო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გ გოგსაძემ, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება „ ურბანისტიკის „ სადოქტორო პროგრამაში და სასწავლო-კვლევითი კომპონენტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

სავალდებულო სასწავლო კურსები:

1.პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი;

2.დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი;

3.კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებაში-ემპირიული კვლევის

მეთოდები - 5 კრედიტი.

არჩევითი სასწავლო კურსები:

1.პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი;

2.არჩევითი სასწავლო კურსი ან საზღვარგარეთ აკრედიტირებულ უმაღლეს

სასწავლებელში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსები - 5 კრედიტი;

კვლევითი კომპონენტი:

1. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1;

2. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2;

3. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3;

4. სადისერთაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, პროფესორი

დანართი #1

საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა სია

1. თამარ დოლბაია
2. ნინო ჭალაგანიძე
3. მალხაზ მაცაბერიძე
4. ნანა ტალახაძე
5. მანანა შამილიშვილი
6. მარი წერეთელი
7. თეონა მატარაძე
8. რევაზ ჯორბენაძე
9. სალომე დუნდუა
10. ვაჟა ლორთქიფანიძე
11. ამირან ბერძენიშვილი
12. ზურაბ აბაშიძე
13. გოგი გოგსაძე
14. ნინო პავლიაშვილი
15. ზურაბ დავითაშვილი
16. ფიქრია ასანიშვილი
17. ალექსანდრე გაბაშვილი
18. ცირა თოფურია
19. ნინი პაკსაშვილი
20. შოთა ქარქაშაძე

დანართი #2

საბაკალავრო პროგრამები:

1. სოციოლოგია:

ლექტორის დამატება -

- „თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები 1 და 2“ – ერთჯერადად დაემატა ასოცირებული პროფესორი ანა დიაკონიძე. სავალდებულო.

- თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი 1 და 2“ - ერთჯერადად დაემატა ასოცირებული პროფესორი ანა დიაკონიძე.სავალდებულო.

-

2. ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია:

ლექტორის დამატება -

- „ტელემედია“ - დაემატა მოწვეული პედაგოგი მერაბ მეტრეველი. სავალდებულო, 15/15.

სამაგისტრო პროგრამები:

1. „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“:

საგნის დამატება:

- „სოციალური კვლევის მეთოდები“ - ლექტორი ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე. 5 კრედიტი, სავალდებულო, 30/15, შემოდგომის სემესტრი.

2.„სოციოლოგია“:

ლექტორის დამატება

- „სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები 1 და 2“ - ერთჯერადად დაემატა ასოცირებული პროფესორი ანა დიაკონიძე.

- „სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები“ - ერთჯერადად დაემატა მოწვეული ლექტორი რატი შუბლაძე.

საგნების დამატება:

- „მედია და ჯანმრთელობა“ - ლექტორი კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ნარინე იეგიანი. არჩევითი, 15/15.

- „მედია და საზოგადოება“ - ლექტორი კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ნარინე იეგიანი. არჩევითი, 15/15

3. „სოციალური მუშაობა“:

ლექტორის დამატება:

- „სოციალური მუშაობის პრაქტიკა 1“ (სავალდებულო) - დაემატა ლექტორი ნათია ფარცხალაძე.

- „კლინკიური გერონტოლოგია“ (არჩევითი) - დაემატა ლექტორი ნათია ფარცხალაძე,.

4.“გენდერის კვლევა“:

საგნის ცვლილება

- „სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები“ ნაცვლად „სოციალური კვლევის მეთოდებისა“ - ლექტორი ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე. (კონფლიქტების ანალიზისა და მართვის პროგრამიდან).

5.„მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ (დანართი 295):

კრედიტის ცვლილება:

- ,,მედიაგარემო და ტრანსფორმაციები'', ლექტორი მამუკა ანდღულაძე, საგანი გახდა 5 კრედიტიანი, ნაცვლად 4 ECTS.

- „სოციალური მედიის გამოყენების ეფექტები“ (სავალდებულო)- ერთჯერადად დაემატა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ნარინე იეგიანი, 15/15.

დანართი #3

ევრაზიისა და კავკასიის კვლევები - მაგისტრატურა - მისანიჭებელი

კვალიფიკაცია - ევრაზიისა და კავკასიის კვლევების მაგისტრი, (კვალიფიკაცია და კოდი - ინტერდისციპლინური 0388);

2. მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია -დანართი 40) - (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) ბაკალავრიატი - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრი, (კვალიფიკაცია და კოდი - სოციოლოგია და კულტურის კვლევები, 0314);

3. სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკური გეოგრაფია - (დანართი 62) - მაგისტრატურა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი, (კვალიფიკაცია და კოდი - სოციოლოგია და კულტურის კვლევები, 0314);

4. ჟურნალისტიკა -(დანართი 34) (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) - ბაკალავრიატი - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჟურნალისტიკის ბაკალავრი, (კვალიფიკაცია და კოდი - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა - 0321);

5. მედიის კვლევები - (დანარრთი 45) - მაგისტრატურა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მაგისტრი მედიის კვლევებში, (კვალიფიკაცია და კოდი - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა - 0321);

6. გენდერის კვლევა - (დანართი 43) - მაგისტრატურა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია - გენდერის კვლევის მაგისტრი, (კვალიფიკაცია და კოდი - სოციოლოგია და კულტურის კვლევები, 0314);

7. კონფლიქტების ანალიზი და მართვა - (დანართი -76) - დოქტორანტურა - მისანიჭებელი კვალიფიკაცია -სოციალური მეცნიერებების დოქტორი , (კვალიფიკაცია და კოდი - არაკლასიფიცირებული, 0319);